# ნიანგი

თებერვალი

3 1991

ISSN 0132-6015


ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ მოსწავლეს ორიანი დაუწერეს და ხუთდი-ანი შიმშილობა გამოაცხადა!

რომან მიმინოშვილი

# ეროვნულ-ფაშისტური ფალსიფიკაციები

## კვერცხები

1

დღეს დავინახე
კვერცხებიანი მამაკაცები
და კვერცხებიანი ქალები!
ოცი, ორმოცი,
ოთხმოცი კვერცხი მოჰქონდათ
და ბედნიერება
მათი სახით იარება!
ნეტავ, ვინ გვიქცია,
ვინ გვიქცია ოქროდა
ქათმის... იმიდან
ბოძებული ზიარება?!

2

მე ახლა ძალიან ვეცდები,
ჩემი საკუთარი კვერცხები
რაც შეიძლება, ძვირად გავყიდო!
საბაზრო ეკონომიკას —
სხვასთან გაქცეულ მამიკოს —
ეს ერთი ცოდვაც ავკიდო!

3

კვერცხი ადრე გაჩნდა
თუ ქათამი?
არ არის ეს ამოცანა
მართალი!
ადრე „ნეპი“ იყო
და ილიჩი,
დღეს კი რა იქნება,
ვინ იცის!

## იმპერია

1

დათვი რომ დათვია და
მოგერევა,
უნდა „ბაბაია“ უძახო!..
გუშაგად კატაც ხომ აგერაა,
ქვეყანა თუ დარჩა უძაღლოდ?
იმპერია იმფერია, — სიგლახეს
კახპასავით უნდა მალავდეს!
მოგვერიე, ბაბაია, მიგვლახე?
— მალადეც!

2

თუკი გშია, ზაქარია,
ცივი მჭადიც შაქარია!..
ახლა მჭადიც გამქრალია,
ახლა მარტო ქაქანია!

3

ძველბიჭივით არ გვიშვებს,
ვითომც სულ უბოროტო: —
ერთად უნდა ვიაროთ,
ერთად ვიმათხოვროთო!
ისევ სოციალიზმი
არის ჩვენი სათავე!
მოვსპობთ კაპიტალისტებს...
ხელს თუ გაგვიმართავენ!



4

იმპერიის აგონია
იბერიის რა გგონია? —
რუსულად რომ „აგონია“,
ის ქართულად სარგონია!

5

პრეზიდენტმა ისტალინა?
და „კაგებემ“ იბერია?
ისეთია იმპერია,
ვერ გაუძლებს იბერია!
მაგრამ თუა ნამიბია,
მაგრამ თუა ნიგერია,
მაშინ ვეღარ გამიგია —
ვინ შვილია, ვინ გერია?
მზის ქვეშ გვქონდა
ჩვენც ადგილი,
„დიდების“ ხმა
რეკდა გუშინ!..
„ღმერთო, ღმერთო,
ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩვენს
მამულში!“

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

— რატომ არ დადის ეს კაცი სამსახურში?

— ავტორიტეტს უფრთხილდება! ეშინია, სამსახური არ დაკარგოს!

ნახ. ჯ. ლოლუასი

## წინადადება შემომაქვს!

**დედაქალაქის** მთავარ მოედანს იმდენჯერ შეეცვალა სახელი, კაცს ჩამოთვლა გაგიჭირდება!..

ბოლო დროს **ლენინის მოედანი** ერქვა.

მერე **„კომუნიზმის მწვერვალებისაკენ“** ხელგაწვდილი ტანმორჩილი კაცის მაღალი ძეგლი აიღეს და...

ზოგმა თქვა, **დავით აღმაშენებლის მოედანი** დავარქვათო, ზოგმა — **ქეთევან წამებულისაო**, სხვამ — **რუსთაველისაო...**

ბოლოს **თავისუფლების მოედანი** უწოდეს.

ეს მე არასწორად მიმაჩნია:

მომავალმა თაობებმა ხომ უნდა იცოდნენ, რისგან განიწმინდა დედაქალაქის **მთავარი მოედანი?**

ამიტომ წინადადება შემომაქვს, ნუ დავკარგავთ სიტყვებს — **ლ ე ნ ი ნ ი, ძ ე გ ლ ი, მ ო ე დ ა ნ ი** და ამ ადგილს **ლენინის ძეგლისაგან გათავისუფლებული მოედანი** ვუწოდოთ!

**ალექსანდრე გორგიშელი**

# ასსნა-განმარტება პროფორგს

**(საოჯახო არქივში შემორჩენილი)**

**დავიბადე** კლასობრივი მტრის ოჯახში. მამა დახვრიტეს. ხალხის მტერი დედაჩემიც ზედ მიაყოლეს.

უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე. გზას არ ავცდენილვარ. კომუნიზმის მშენებელი საზოგადოება, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები დამეხმარნენ იდეოლოგიური დონე ამემაღლებინა და თვითნასწავლი მხატვარი გამოვსულიყავი.

ჩემი ფერწერული ტილოები მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური საბჭოთა ქვეყნის წინსვლას და აყვავებას ასახავენ.

შევქმენი პორტრეტები: **„ოქტომბრის ბელადი“, „სტალინი და პოლიტბიურო“, „პავლიკ მოროზოვი“, „შინსახკომელი“.** მეზობლებში მოწონებით სარგებლობს ჩემი ჩანახატები: **„კომუნიზმის ყლორტები“, „ლენინ-სტალინის საქმისათვის იყავი მზად!“, „ყველაფერი კეთდება ხალხისათვის!“, „ბედნიერი ბავშვობა“, „გავასწრებთ ამერიკას!“, „ვიცხოვრებთ კომუნიზმში!“.**

ამჟამად ვმუშაობ ციკლზე, რომელშიც შთამბეჭდავად აისახება მე-11 არმიის მიერ საქართველოს განთავისუფლება, ჩვენი აყვავება, აშენება და დამშვენება.

ახლა, როცა ყოველდღიურად უმჯობესდება საბჭოთა ადამიანის მატერიალური და კულტურული დონე, როცა ჩვენი მესაჭე პარტია დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ მიგვიძღვება, მეც მინდა შევიტანო მცირეოდენი წვლილი საერთო საქმეში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და ფულადი დახმარება გამიწიოთ **შ ა რ ვ ლ ი ს** შესაძენად.

**უ შ ა რ ვ ლ ო ბ ა** საშუალებას არ მაძლევს პარკში ვიარო და რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი კიროვი თავისი ძეგლის ნატურიდან გადმოვხატო.

**პროფკავშირის წევრი**
**დემეტრე ოთარიშვილი**
**1952 წ.**

# ფრაკიანი ჟურნალისტის წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსაზრება

**ჟურნალისტმა** ა. აჯუბეიმ თავისი ძვირფასი სიმამრის **ნიკიტა ხრუშჩოვის** მიერ **გაერო**-ში ჩადენილ უხამსობას **„უდიდესი დიპლომატიური მოქნილობა“** უწოდა. **დიპლომატიურისა** რა მოგახსენოთ, მაგრამ **„მოქნილობა“** ნამდვილად იყო, ოღონდ არავითარ შემთხვევაში — **„უდიდესი“**: ნიკიტას ფეხსაცმლის გახდით და მაგიდაზე ბრახუნით თავისი შესაძლებლობები არ ამოუწურავს თუნდაც იმიტომ, რომ **გაეროსათვის** თავისი გაშიშვლებული უკანალი არ უჩვენებია, რაც მისგან ნამდვილად მოსალოდნელი იყო!

## წინადადება

**ღრმა** მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დავადგინე, რომ **ლეონიდ ბრეჟნევის** 117 ჯილდოთა შორის არ არის მედალი **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“**. ამავე დროს გენიალურ წიგნში **„მცირე მიწა“** (ნამდვილი ავტორი დაუდგენელია) დაწვრილებითაა აღწერილი, თუ როგორ გადაარჩინა **ლ. ბრეჟნევმა** სამხედრო მოსამსახურე, რომელიც აფეთქების ტალღამ გემბანიდან ზღვაში გადააგდო!..

ვხელმძღვანელობ რა სამართლიანობისა და ისტორიული სინამდვილის დაცვის პრინციპებით, **მოვითხოვ: ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდეს მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“!**

## შესდგა თუ არა „პერესტროიკა“?

**ეს** კითხვა ერთ-ერთი ზესახელმწიფოს პირველ ლედის (გვარს არ დავასახელებ) მაგონებს: იგი პირველ ოფიციალურ შეხვედრებზე პროვინციული, ცხლად დახვეული, შუბლის მარჯვენა მხარეს ცხვრის დუმასავით ჩამოკიდებული ვარცხნილობით, გაჯიუტებული მოზვერივით ფეხებგაფარჩხული იდგა თავისი მეუღლის გვერდით (ოდნავ წინ) და ყველის ვაჭარივით კრეჭდა კბილებს. ახლა მის ვარცხნილობას, ჩაცმულობას და დახვეწილ მანერებს (განსაკუთრებით — რაფინირებულ მეტყველებას), ყველა აკითხში გარკვეულობასა და გათვითცნობიერებულობას ამქვეყნად ძალზე ბევრი შენატრის!

„პერესტროიკა“ ნამდვილად შესდგა და იგი კიდევ მრავალ მოულოდნელობას გვპირდება!

## აუცილებელი შესწორება

**სისხლის** სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე პუნქტების მიხედვით **განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან რამდენიმე პირისა, წინასწარ შეცნობით ორსული ქალისა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ ან ისჯება სიკვდილით.**

ეს მუხლი აუცილებლად უნდა შესწორდეს და ასე ჩამოყალიბდეს: **განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან რამდენიმე პირისა, წინასწარ შეცნობით ორსული ქალისა, თუ იგი ჩადენილი არ არის ჯარისკაცის ხელბარით, ისჯება...** (შემდეგ 104-ე მუხლის ზემოაღნიშნული ტექსტის მიხედვით).

ამავე მუხლს განმარტების სახით უნდა დაემატოს: **ჯარისკაცის ხელბარით ორი ან რამდენიმე პირის, წინასწარ შეცნობით ორსული ქალის განზრახ მკვლელობა სასჯელს არ ითვალისწინებს.**

აქვე უნდა მიეთითოს, რომ ჯარისკაცის ხელბარის უპირატესობა ნიჩაბზე, ფიწალზე, თოხზე და ა. შ. არ ვრცელდება, თორემ მომავალში ამ იარაღებით მოგვიღებენ ბოლოს და პასუხს არავის მოსთხოვენ!

## დიალოგები

—:—

— რა უნდა გაკეთდეს, რომ საბჭოთა მანეთი კონვერტირებული გახდეს?

— კონვერტში უნდა ჩაიდოს!

—:—

— ტროლეიბუსში რომ მეცადინეობ, აუდიტორიაში რას აკეთებ?

— მძინავს.

— ლაბორატორიაში?

— შევდივარ, რო?!

—:—

— სიმონ, რა ვქნათ?

— თუ თვითმფრინავმა გადაიფრინა, რესტორანში წავიდეთ, თუ შვეულმფრენმა — კინოში და, თუ ინსტიტუტის წინ მფრინავი თეფში დაჯდა, ლექციაზე შევიდეთ!

—:—

— ვიოლა, ნახე რა კარგი ჯიხვის რქებია! მეუღლეს უყიდე, გაეხარდება!

— რქები მას საკუთარი აქვს და ეყოფა!

—:—

— რა განსხვავება იქნება ფასიან და უფასო უმაღლეს განათლებას შორის?

— ბევრი არაფერი: ფულს, რომელსაც უფასო სწავლებისას უმაღლესში მოსაწყობად აძლევენ, მომავალში დიპლომის აღებაში გადაიხდიან!

—:—

— ვფიქრობ და ვერ გამიგია: რატომ აგზავნიდნენ 1941-ში ფრონტზე უიარაღო ჯარისკაცებს?! თოფები თუ არ ქონდათ, ხელბარები ხომ ეშოვებოდათ?!

— რას ამბობ! 1989 წლის 9 აპრილამდე ხელბარი განსაკუთრებით საიდუმლო იარაღად ითვლებოდა! ფაშისტებისთვის ამ საიდუმლოს გამხელა არასგზით არ შეიძლებოდა!

## ინტერვიუ

**ამერიკელი** ჟურნალისტი საბჭოთა მოქალაქეს მიმართავს:

— რას შეადგენს თქვენი ერთი თვის ფულადი შემოსავალი?

— ექვსას მანეთს, ესე იგი, დაახლოებით ას დოლარს!

— მაპატიეთ, თქვენ თავს მათხოვრობით ირჩენთ?!

— არა! მე მეცნიერებათა დოქტორი გახლავართ, პროფესორი, კათედრის გამგე!

## გამოცანა

**კოოპერატივის** პური ათი შაური ღირს. მისი წონა ათი შაურიანის წონის ტოლია.

რა ღირს ერთი გრამი პური, თუ შაურიანი ათ გრამს იწონის?

ნახ. მ. აბაშიძისა

— გაიგე?! ვანიჩკას ბიჭი ჩვენი ფერმის გოჭების დაცვის პრეზიდენტად აურჩევიათ!

# სოფლის დაგირება

ისეთი სოფლებია საჩხერეში,
ისეთი სოფლები აქვს საჩხერეს,
მათი სილამაზე ზეცაში
გადამფრენ ფრინველებს აჩერებს!..
იცქისიც სოფლობდა დიდებულად,
გორაკებს ლამაზად შეფენილი,
აკაკის ლექსს ჰგავდა ამღერებულს,
იზვარა ამკობდა რეფრენივით!..
მზე ამოდიოდა იცქისში და
მერე შუქს სხვებსაც ჩუქნიდა,
ყოველი უბანი უბნობდა კეთილად,
მშვიდობის ჩიტს აფრენდა უბიდან!
მარცვალს უკულმა მოაბნევდი,
წალმა ამოდიოდა ჯეჯილად,
ზვრებს გარშემო ერტყა ხეხილი,
ვარსკვლავები ტოტებით ეჭირა!
ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა,
იყო ქორწილები, სადილები,
ყველას ახარებდა ქალ-ვაჟები —
იცქისში კაცურად გაზრდილები!
მაგრამ კვარცის ქვიშამ არია ყველაფერი,
იცქისთან რომ აღმოჩნდა შავ ჭირად,
ველარ დაიოკა ტკივილები
მიწამ — ბულდოზერით დაჭრილმა!..
ბევრჯერ იკვნესა და ითავცემა,
მაგრამ ვინ უსმენდა საცოდავს?!
თხრიდნენ ყაჩაღურად, უსულგულოდ,
ქვიშა გაჰქონდათ და გაჰქონდათ!..
ქარავნებს მისდევდა ქარავნები,
სავსე მანქანები დაქროდა,
ვილაც-ვილაცები მდიდრდებოდნენ,
იცქისელთა დარდი არ ჰქონდათ!
სახლებს შემოენგრათ ბალავრები,
სასაფლაო იქცა ტიალად!..
ქვაც კი აატირა იცქისში
სოფლის ბედის უკულმა ტრიალმა!..
ვაი, რა სოფელი მოიშალა,
ღვთიურად შემკული, შენაფერი
(სტალინს ნუ დავაბრალებთ ამასაც,
მის შემდეგ მოხდა ყველაფერი!)
იცქისი, ლამაზი იცქისი!
ბოი, რა ხალხი და რა მიდამო!
მიხი მოსპობა და გაუქმება,
ვაიმე, როგორ ავიტანოთ?!

ნოდარ შამანაძე

# მიზეზისა ჩვენ!

**ჯუაბიანელთა** და **კურდღელდერაძეთა** კლუბი არსებობს საინიციატივო ჯგუფის მეშვეობით. **ჯკუფკლუბის** წევრად გახდომამდე შეეძლოთ ყველა, ვისაც არ ეზარება ცხელ-ცხელი ჯორების გაერცელება, შეიჭმაზე და ბოსმეზე, აგრეთვე შინაბერებს, ბერბიბუბსა და ეფემელი რეპუტაციის მქონე პირთა. კეტეგორიულად ვაცხადებთ, რომ კლუბს არავითარი კავშირი არა აქვს **შიზოფრენიკებთან** და **ნეიროსტენიკებთან, პარანოიკებთან** და **დეგენერატებთან!**

**ჯკუფკლუბის** წევრობის მსურველებმა ამის შესახებ ცნობა უნდა **"მოიტანონ,** სადაც ჯერ არს, იქიდან! **ჯკუფკლუბის** წევრი კლუბში შემოსულისას იხდის ბალტოს (თუ ზამთარია), ბიდიშს (თუ ტალახიანი ფეხები აქვს) და ერთ მანეთს საწევროს (თუ ხელსაყელი ხშირად ეკვება).

**ჯკუფკლუბის** წევრი ერთი თავით მაღლა უნდა იდგეს სხვა კლუბების წევრებზე, რისთვისაც მან თან უნდა **"ატარის ტაბუტეტი** და საჯაროდ გამოსვლის წინ შეაპაროს კოფეფრის ძირში ზეფ შესადგომად. **ჯკუფკლუბის** წევრი თავისი მოკრძალებისა და მოხერხებულობის, წესალმით ვალდებულია: ილილოს ლაკე კვერცხი (თავი გაწყოს გაზზე), ფეტონი (სწორედ ჩამოიშინდოს), **"ვიხარამაინზე"** სიტბრისას განავითარის თუმა **"ბოგიი ფიშეილი"**, არაფერია, თუ ვინმე ქალბატონი თავის ბავშვს ჩაჰკიდებს ხელს და უკან წაიყვანს — **"დემბოგოი, ფი. ფეილო!"** — შეეფეთეთ ერთმანეთს!

**ჯკუფკლუბის** წევრები უშვებენ საკუთარი კედლების გაზეთს **"დიუკარ, ჩემი ფანდურო!"**, რომლის დღვანზე ამოდებულია უკადავი **რუსოველის "ვეფხისტყაოსნიდან"** — **"ჰკუნი ეუბნაო არა ბრიყვთათვის"**.

კლუბის წევრები წელიწადის ერთ თვეს მკაცრად ინახავენ მარხვას — არ ჭამენ ადამიანს!

კლუბს ბანაში გახსნილი აქვს ანგარიში და ეწევა ანგარიშსწორებას სხვა კლუბებთან ეკუთვნების ნიადაგზე.

**ჯუაბიანელთა** და **კურდღელდერაძეთა** კლუბის წევრებია ლოზენენი — **„არე ერთი გამოჩენილი — ჩვენს გვერდით!"**

კლუბის წევრებს აქვთ კიბერი მაფიოზებთან მათი მოქცევის მიზნით, ეკრძალებათ სხვანაირი კავშირი საწინააღმდეგო სტენის წარმომადგენლებთან, რადგან მოწინააღმდეგე ჩვენი მტერია!

**ჯკუფკლუბს** ჰყავს **პრეზიდენტი**, რომლის ფეიქუნები ბოლოდეროიალი კლუბის იმპოტენტებს დამუხტავს ანაორგინალური სუბსტანციების თვითლაკადაციისათვის!

**დაბოლოს:** კლუბის კარი ღია. **შეგიძლიათ აბეჭერით!**

**ჯემალ ინჯია**
(ქ. გორი)

## გარდაქმნის დროის რუსული ლექსიკონი

**კომენდანტის საათი** — სამბედრო ეზოებების ზეიმი ადამიანურ გონებაზე.

**წესიერი კაცი** — ადამიანი, ვისაც ყველაფერი წესრიგში აქვს: მანქანაც, სახლეარაფეთ მიელინებაც, სახელმწიფო ადამიანიც და სხვ., გვიდგება მხოლოდ კრემლის ტერიტორიაზე.

**მორიგი ზვებუდება** — ზვებუდება, გატარებული უსასრულო რიგებში პრაველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად.

**საკვირველი კაცი** — პიროვნება, რომელიც აკმაედ გაკვირვებულ რჩება იმ უმსგავსებებით, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება.

**მეცნიერებათა დოქტორი** — ადამიანი, ვინც ეკრანის მეცნიერებას მეცნიერებათა კანდიდატების მიერ გაფრცელებული ავადმყოფობებისგან.

**პატიოსნება** — ფეფუნება, რაც ძალიან ძვირად უჯდება ხალხს, ამიტომაც ბოლოდ ეროეულები თუ აძლევენ თავს ამის უფლებას. ზოგ ქვეყანაში მის მფლობელ შერის გამო სდევნიან.

**გონიერული ეზრა** — როგორც ღამაზი ცოლი, სამწუხაროდ, ყოველთვის სპეცია.

**ინტელიგენტი** — ფიქრის კაცი. ბოლო სამოცდაათწლეულში ფიქრობს მხოლოდ ინობის პატრუ.

**ხელოვნური ინტელექტი** — ხელოვნების მეშვეობა ინტელექტი.

**აპოლონ ნაზარიანი**

## სანამ ცენტრი გვეპატრონობს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ გაგაცინო, ვინ შეგაჭო,
ან ვის ვუთხრა მიდლისა?!
ვინც სიმპარლეს აფლეგრძელებს —
სჩადის უსაბარლოსობას!

ვისაც მეკრდში ვიხუტებდით,
ახეპტიკით დაგვეგელა!..
გარეშე მტერს ვინლა ჩოვს,
შინაურიც ბმალს ლესავს!

ირგვლივ — სიძულვილის ალეა,
სიცარეე და ავი ზნე!..
ძმობა მტრობით შეგვიცვალეს,
გაგვიხადეს სამაზნედ!

ვინ, ვინ აწყობს ამ აკციებს? —
ვინ და, ცენტრი, ბატონი!
და იქნება ახე მუდამ,
სანამ ცენტრი გვეპატრონობს!..

თუკი საკარიბჭეზე
რად გვიჭიმეს ნახიკენბს?!
არ ფიქრობთ, დაგვიანეეს —
ქვლავ ლესავენ ბარ-ნიჩბებს!

ამ ცხრა ამრიდს ვინც დაკვეხოცა,
ჩინს ლებულობს უანდლესს! —
აი, თურეე აკაციაა
როგორ გადაუსადეს!

აი, როგორ „აჩქეფლრებენ"
ალფრაალიზმს და სამარილს!
ის ვაზა, ცენტრო რომ ვეთაკაზობს,
ვერ მიგვიუვანს ტაძარამდ!

ამბის ვამბობ, რაც მაწუხებს,
რასაც ყული მკარსაბობს:
უკირს დედასაკარაფელლის!
უკირს, როგორც ინასტარსს!

რახანია, ტყავი გვაქრესა,
დარდი გვაბრრობს უოკმეელ!..
ჩვენს ბედ-იღბალს ცენტრი მართავს,
ცენტრამ გვადგას უღელი!

რაც დრო გადის, გვემატება
საწუხარი, სადარდელ..
რა იქნება, ერთხელ მაინც
ღმერთმა ნადა გვტარონ?!

* * *

ცენტრი თითქოს ჩვენთვის ზრუნავს,
ჯაზზე გვიფენს ვარდებს, იებს!..
„ხი-ეს"-ით და ბარ-ნიჩბებით
ჩვენს ცხოვრებას „აწესრიგებს"!

თითქოს საკეხავით მართავს
„თავისუფალ ხალხთა კავშირს",
რაც გვაკვს, მაგაც ცენტრი გვართმევს,
თავად ვრჩებით ხახამშრალნ!

ამ ყოფაში სულს რომ ვდაფავთ,
შეიდერ ათი ადგილ ნელი,
და დაპარრბილ საკარეველის
განთავისუფლებას ველით!

თუმცა მტერი მარყუჟს უჭერს,
მაინც ქუჩს და ეზრნაიელობს!
გამარკვევის დღესახეულს
იზეიმებს საკარეველი!

**დავით სალია**
(ზუგდიდის რაიონი, სოფელი დარჩელი)



ნახ. გ. ლომიკინა

პერეკეტუუმ-მოგბილე — პრაქტიკულად განუხორციელებელი „მუდმივი ძრავა"

პერეკეტუუმ-მოგბილე ანუ „მუდმივი ჰმევა"

# ბლოკნოტი ფანტაზიოზული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვილს დედა შობს და
დედა ზრდის! —
ამას არ უნდა მისანი!
შვილი და მხოლოდ შვილია
დედის მაღალი მიზანი!
ვისაც ის ძუძუს აწოვებს,
მამულის ბურჯი ის არი!

ნაკლებად გამოდგებიან
ნაზარდნი ფხვნილის რძიხანი!
შვილს დედა შობს და
დედა ზრდის! —
ამას არ უნდა ცილები!
მისი ამაგი სხვისახთან
არ არის შესაწყვილები!
შვილს დედა თუ არ დაჰხარის —
თვალ-და-გულმოუცილები,
კიდევაც დაიზრდებიან...
საბავშვო ბაღში ტილები!..

* * *

„მით გასახმილდა წინწკალი,
გირგლად გარდიქცა სიონი,
მისგან შეირყა მეტეხი,
მისგან დაიქცა სიონი:
მან ვახტანგ, ძე ლევანისა,
შეიპყრა ბაგრატიონი,
უპატიოდ ყვნა შვიდ წლამდის
იქ დიდად საპატიონი“.

... თუმცა... ვინ გურამიშვილი?!
შენ — მხოლოდ „ილუზიონი“!

* * *

„რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი!

... თუმცა ესენი რად გინდა?!
შენ — მხოლოდ „ილუზიონი“!

* * *

„მაინც არა ხარ, წიხქვილო,
თუნდა მოგიგდო იორი!“

... თუმც შენ არც ანდაზა გიყვარს,
შენ — მხოლოდ „ილუზიონი“!

* * *

მე უკვე წინასწარ ვიცი,
რას მიპასუხებ, რომ გკითხო:
— „შალვა შავლეგო“?
— ძველია!
— როკით ხო ტკბები?
— როკით, ხო!

* * *

შენ არც ეს ანდაზა იცი,
(„როკის“ გულისთვის რო
კვდები). —
„როგორც დამიკრავ ფანდურსა,
მეც ისე დაგიროკდები!“

* * *

„ქართული“ დაგვიწყებია,
გადაყოლილო „როკისთვის“!
„როკი“ „ქართულთან“ ვერ მოვა,
როგორც — მყინვართან როკითი!

* * *

„ბებერსა, სახძლოდ შემკულსა,
გაფრთხილდი, მოერიდეო!“
... თუმცა შენ ხაბა რად გინდა,
შენი ჰობია ვიდეო!

* * *

ცხენო, გასუქებ, რემაო,
ძუა-ფაფარსა შლიდეო,
ნანდობის კარზე დაგაბამ,
ორგულის გულსა ჰგლიჯდეო...“
... თუმცა შენ ლექსი არ გიყვარს,
შენი ჰობია ვიდეო!

* * *

კაცთმოძულება ვთესეთ და
ხიკეთეს ძირი ვუხმეთ,
ღმერთი იმდენად გაგვიწყრა,
ეურნალს „ეღმერთო“ ვუხმეთ!

* * *

რა ეშველება
ამდენ ნაგიჟარს,
ამდენ მოჯეჰიდს
და იანგიჩარს?!

* * *

ძმამ გაუწიოს ძმას ძმობა,
დას გაუწიოს დამ დობა,
ხოლო მეშჩანს და მედროვეს —
არავითარი დანდობა!

* * *

მე, რა თქმა უნდა,
ვინმეს არა ვსჯი,
არ ვარ მსაჯული
და არც ვექილი,
მაგრამ ხომ ვიცი,
იღებს დარაჯი,
იღებს ექთანი, იღებს ექიმი!..

* * *

ტრიალებს მუდამ
საკუბნაოში
ერის ბედისთვის
მუნჯი და ყრუვი.
შუბლზე მრავალი
ადევს ნაოჭი,
მაგრამ ¡ტვინი აქვს
კვერცხივით გლუვი!

* * *

ვინაც უშრომლად არამი
ფული იჯიბა, იქისა,
ილოთა, იყომარბაზა,
იძახდა „შაში-იქ!“-სა,
ბოლოს მასხარად გადიქცა,
აქ ეს ჭირდავდა, იქ — ისა,
ისე წავიდა სულეთში,
თავი ვერაფრით იქისა!

* * *

გამოვეჭეც და არ ვიცი,
სოფელს როგორ დავენახო!
ვაი, ჩემო წყალ-წიხქვილო,
ჩემო ბაღო და ვენახო!

* * *

— ვაუკაცი ლაღი და
უკადრი,
გეთაყვა, რა იქნა
ბათაყვა?
— ზღვასავით გაშლილი
სუფრები უყვარდა,
ძაან ღრმად შეჰყვა
და... გადაჰყვა!

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



# მსუნაგიზმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

● **ქართამს** თუ იღებდა — უყვარდა დამრგვალებული თანხები, მრგვალს ჩემულობდა მაგიდას პრესის სხვადასხვა არხებით.

● **მუჭთა** სმა-ჭამით მოღორდა, გასუქდა, კარგად დამრგვალდა, მერე მაძღარი წამოწვა მოშიმშილეთა ჯარგვალთან.

● **გლომად** მაყუთი მოღუნა, განძით გაავსო სარდაფი, მერე გავიდა ქუჩაში, მოდურად დაჰკრა დაფდაფი.

● **ნიადაგ** იდგა ბაზარში, შინ ხდიდა დიდი ქვაბით რახს. სამკერდე ნიშნად იბნევდა ქართულ ეროვნულ ბაირაღს.

● **ვერ** შეელია ძველ წესებს: გამოძალვას და შეწერას! ხან სულს ავედრებს კომუნიზმს, ხან — მღვდელს და ხანაც — ტერტერას.

● **კარგად** არ იცის, ბუ თავი რომელ პალოზე დაიღრძოს, შორით ჭვრეტს არაფორმალებს — იმათში ეძებს სასიძოს!

**მსუნაგიზმები დააჭაშნიკა**
**მერაგ ელგუჯაშვილმა**

— **რატომ უყეფს ეს კაცი მთვარეს?**
— **ძაღლური ცხოვრების გამო!**

**ნახ. ვ. კუციასი**

## გაგონილ-მოგონილი

**მარადიული** არაფერი არ არის მთვარის ქვეშო! — უთქვამს ძველ ბრძენს; და მართლაც, საბჭოთა კავშირში დროებითია ყოველგვარი დეფიციტი, დროებითია სიძნელეები და უმუშევრობა, დროებითია უცხოეთის ქვეყნების ტერიტორიებზე საბჭოური საოკუპაციო ჯარების ყოფნა, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის კომიტეტიც დროებითია! რა ეუყოთ, რომ ეს „დროებითი" ადამიანთა მთელი თაობის სიცოცხლეს სწვდება — ბოლოს და ბოლოს, ამქვეყნად ადამიანიც დროებითია!

... ღმერთო, საჯაროობა, პლურალიზმი, დემოკრატიის სწავლა მაინც ნუ იქნება დროებითი!

* * *

**უძრაობის** ეპოქაში ერთი ჩვენებური კაცი (სხვათა შორის, კარგი ფიზიკოსი), აშშ-ში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, შთაბეჭდილებების გასაზიარებლად გამოსულა თანამშრომელთა წინაშე: კარგა ხანს აღტაცებით ჰყვებოდა თურმე, რა შესანიშნავად ცხოვრობენ ამერიკელები, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, იდეოლოგიური ნერვი მაინც ათრთოლებია და გამოსვლა ასე დაუმთავრებია:

— მაგრამ რად გინდა რა, წყობა არ უვარგათო!..

* * *

**საბჭოური** კანონები, როგორც წესი, შემდეგ პირობებს აკმაყოფილებენ: უწესონი არიან! დროულად არასოდეს არ გამოდიან! მნიშვნელოვანწილად გაუგებარნი რჩებიან! რაც გასაგებია, ისიც არ სრულდება!..

* * *

**გზაჯვარედინზე** უძრავად მდგარ მერანზე ამხედრებული იარაღასხმული რაინდი ღრმად ჩაფიქრებული შესცქეროდა წარწერებს: „მარცხნივ წახვალ — მიტინგზე მოხვდები! პირდაპირ წახვალ — მოშიმშილეებს მიადგები! მარჯვნივ წახვალ — მჯდომარე საპროტესტო აქციას გადააწყდები!"

რაინდმა უკან გაბრუნება არჩია!

**გაგონ-მოგონა**
**თამაზ ეგანოვიძემ**

# ლუარსაბის სიზმარი

## თანამედროვე ვარიანტი

... ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა ხანს უკან ერთი მადლიანი, თავისებური ხვრინვა ამოუშვა!..

ნეტავი კი არ დაეძინა! ძილში საშინელი სიზმარი ნახა! ნახა, რომ ავად ხდება, ძალიან ავად, ისე რომ, ვითომ მოკვდა კიდეც, მაგრამ ისე კი მოკვდა, რომ ყველაფერს გრძნობს და ხედავს! საშინელ მდგომარეობაშია საწყალი, ცოცხალ-მკვდარი ლუარსაბი! „ვაი, რა დროს მოვკვდი! ძლივს ღმერთმა შვილი მაღირსა, გავზარდე, ჩემი ძმისა და რძლის ჯიბრზე ინსტიტუტში მოვაწყვე. სამსახურშიც ძალიან დავწინაურდი. ავი არაფერი ჩამიდენია, ეგ იყო, ხანდახან მიწებს ვყიდდი, მა რა მექნა?! ოჯახი მქონდა. ცხოვრება მინდოდა, მტერი იყო, მოყვარე. ყველასათვის საკადრისი პასუხი უნდა გამეცა! — ამბობს სიზმარში ლუარსაბი, — ახ, ნეტავი ახლა კი გავცოცხლდე და!..“

მაგრამ ხად არის გაცოცხლება! ხედავს, როგორ მორთეს სამგლოვიაროდ სასტუმრო ოთახი. შავი ხავერდის უზარმაზარ ფარდაზე, მთელი კედელი რომ დაუფარავს, მისი გადიდებული სურათი ჰკიდია!.. აი, მოიტანეს მუხის კუბო, ჩაასვენეს კიდეც კუბოში და დასვენეს არაბული ხალიჩით დაფენილ ტახტზე!.. იაპონური „პანასონიკიდან“ სამგლოვიარო მუსიკა იღვრება, უწყვეტ ნაკადად მოდის და მოდის ხალხი, მოაქვთ და მოაქვთ ყვავილები და წარწერებიანი გვირგვინები!.. ფრანგული ეორეეტის შავ ელეგანტურ კაბაში გამოწყობილი დარეჯანი დინჯად იღებს სამძიმარს. „ეგ იმედი მქონდა მაგისგან, — ბრაზობს ლუარსაბი, — ერთი მოთქმით ტირილის ღირსი მაინც არ ვიყავი?“ ხმამაღლა მარტო ლუარსაბის მძღოლი ზლუქუნებს!..

დადგა დაკრძალვის დღეც. სახლის წინ ხალხის ტევა არ არის. ასწიეს კუბო და წაიღეს ტირილითა და ვაშლობით. ამ ზღვა ხალხში უცებ ვიღაცამ იყვირა: „დამარხვის ღირსი არ არის, ხალხო, არა! უნდა დაიწვას!“

გაოგნდა ლუარსაბი, ჰირის ოფლმა დაასხა!. ეს, იმ ექვსი შვილის მამის ხმად ჩაესმა, საკარმიდამო ნაკვეთის სათხოვნელად მისული, კაბინეტიდან სულ კინწისკვრით რომ გამოისროლა. „მართალია, მართალი! — ხმა მისცეს დანარჩენებმა, — ქართული მიწების გამყიდველს ქართულ მიწაში განსვენება არ ეგების, არა!“ — ატყდა ერთი ყურისწამღები ყვირილი და ალიაქოთი. მივიდნენ ვითომ ამ ყოფაში სასაფლაოზე. ხედავს ლუარსაბი — ახალგაჭრილი საფლავის ახლოს ცეცხლი ანთია. ცახა სწვდება იმისი ალი!.. მის გარშემო გახარებულები უვლიან დავლურს დავითი, ელისაბედი, ლუარსაბის ხელქვეითები. სიცოცხლეში ერთგული ფინიებივით თვალებში რომ შესციცინებდნენ და, ლამის იყო, მისი ნაფეხურებიც კი დაეკოცნათ! „ალაბები! — ლამისაა ცრემლები წამოსცვივდეს მკვდარ ლუარსაბს. — ამას მოველოდი მაგათგან?!“ ყვირილი და ალიაქოთი მატულობს, ხალხის აღტკინება აპოთეოზს აღწევს: „მშობლიური მიწის გამყიდველი ნშობელ მიწაში არ უნდა დაიმარხოს, არა!“ „სწორია, სწორი!“ — გუგუნებს ცა და მიწა. „მოიცათ, ხალხო, მოიცათ!“ — ღრიალით ჩაეგდო კუბოს ლუარსაბის მძღოლი. ვინ უგდო ყური ან ის ერთი რას გახდებოდა ამდენ ხალხთან?! უკვე ისე ახლოს მიიტანეს კოცონთან, სახეს მისწვდა ალის სიმხურვალე!.. „შემიბრალეთ, მაპატიეთ!“ — იბღავლა შეშინებულმა ლუარსაბმა, წამოიწია, ვითომ კუბოდან ამოხტომა უნდოდა და იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე მოადინა ბრაგვანი!..

ფაურზე გაეღვიძა დარეჯანს. ხინათლე აანთო, იხილა რა ამგვარ ყოფაში საყვარელი თანამეცხედრე, შეჰკივლა და გულგახეთქილი მიეგრა.

— უი, შენს დარეჯანსა! ეს რა დაგემართა, შენ გეთაყვანოს ჩემი ცოცხალი თავი?!

ლუარსაბი ჯერ ვერ გამორკვეულიყო სიზმრის ბურუსიდან. იჯდა ასე გაშტერებული, პირდაღებული, სიკვდილის ფერი ედო ოფლიან სახეზე და დაჰყეტილი თვალებით უაზროდ ათვალიერებდა ფრანგულ საღამურში გამოწყობილ მშვენიერ დარეჯანს.

მტრედისფერი ალიონი მორცხვად იჭვრიტებოდა არაბული ჭალით გაბდღვრიალებულ, „მონა ლიზას“ ავეჯით გაწყობილ მუდრო საძილეში.

**ლეილა მეტრეველი**

(გორის რაიონი, სოფელი ფლავი)

უსიტყვოდ

## ნაფი ჯაყოს ძე ჯუსოითი

როცა საქართველოს
წყევლით
პირზე მოეძალა ქაფი,
ყველას დაგვემუქრა
კრემლით
ჯაყო ჯუსოითის ღლაკი;
როკის უბნელესი
ხვრელით
მოსკოვს მიუხოხდა
ნაფი,
სადაც საკუთარი ხელით
თავზე გადაისხა ლაფი!

ოთარ ჭელიძე

ნახ. ზ. ფოტრჩხიძისა

— მართალს ამბობს ეს კაცი: ხვალიდან მანქანა სხვა ფერად უნდა შევაღებვინო!

### გასტრონომში

— ამიწონეთ ერთი კილო ძეხვი!

— რომელი, ქალბატონო, „საიუბილეო“, „დედაქალაქური“, „მოსკოვური“, „სერვილადი“ თუ „შებოლილი“?

— „სამონადირეო“!

— არ გირჩევთ, გუშინდელია!

### თევზის მაღაზიაში

— ზუთხი რა ღირს?

— ხუთი მანეთი!

— ხიზილალა?

— რომელი, გენაცვალე, წითელი თუ შავი?

### ლუდის ბარში

— თითო კათხა ლუდი ჩამოგვისხი, თუ ძმა ხარ, ყელი გვიშრება!

— რომელი გნებავთ — ჩეხური, პოლონური, ბავარიული, თუ ფინური?

— თბილისური!

— თბილისური სადღაა?! მორჩა!..

### ქუჩაში

— გამარჯობა, კუკური!

— გაგიმარჯოს!

— რა მოგივიდა, რატომ კოჭლობ?

— წუხელ ეზოში ძაღლმა მიკბინა!..

— საკუთარმა ძაღლმა?

— ჰო, საკუთარმა, შვილივით რომ გავზარდე!..

— კი მაგრამ, რა მოუვიდა, რა ჭირი ეცა?

— ფხიზელი მივედი სახლში და ვერ მიცნო!..

### ნოდარ ხუნწარია

— სევერიან, ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჩვენ შეყვარებით ვიქორწინეთ?

— მერე?

— შენზე ამბობენ, ვიღაც ქალთან დადიხო!

— შენ რა გაშინებს, ხომ იცი, რომ ორცოლიანობა არ შეიძლება!

— : —

— სერაპიონ, ხედავ, ჩვენი ქარხნის დირექტორი ლოცულობს?

— კი, მადონა!

— ნეტა, რას ეხვეწება?

— ღმერთო, შემარგე არამი ლუკმაო!

— : —

სუფრაზე ერთმა პიროვნებამ მეორე გაიცნო და ეკითხება:

— რა პროფესიისა ბრძანდებით?

— მხატვარი.

— ჩემი კოლეგა ყოფილხართ.

— სად მუშაობთ?

— ქალთა სალონში.

— იქ რას აკეთებთ?

— ვხატავ, ჩემი დახატულები რუსთაველზე დასეირნობენ, ბიჭები იტაცებენ, თქვენსას სალონში ობი ეკიდება!..

— : —

— ექიმო, თავი მტკივა!

— რატომ?! ხო არაფერი მოგხვდათ?!

— კი, ექიმო, ერთი ლიტრი არაყი მომხვდა!..

— ხოო! სიკვდილი დაგიმარცხებიათ! ორი ლიტრი რომ ყოფილიყო, აღარ გეტკინებოდათ!

— : —

— ექიმო, ნერვები მაქვს მოშლილი!

— ქმარი ხომ არ განერვულებთ?

— არ ვარ გათხოვილი!

— გათხოვდი და აკვანი დაგამშვიდებთ!

გიგო ნინაშვილი

91-94




— აქ რომ დიდებული ხეივანი იყო, რა უყვეს?
— ა-კ ა ფ ე-ს!

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 3 (1829).** თებერვალი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

**მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე**

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ ადეიშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამხონია, ბეჟან ხიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.**

ტექნიკური რედაქტორი **ირაკლი დუნდუა**

გადაეცა ასაწყობად 3. 01. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 02. 91 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". შეკვ. № 9 ტირაჟი 70.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.**

**ტელეფონები:** მთავარ. რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების— 93-49-32, რედაქტორ-ლიტ მუშაკების — 99-02-38, მდივან-მ ე მ ა ნ ქ ა ნ ი ს — 99-76-69.

**Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло». ул. М. Костава № 14.**

ფასი 40 კაპ.

**ინდექსი 76187**